





ფილიპ როთი

ძუძუ

დოქტორის  
ბიბლიოთეკა

ფილიპ როთი  
ქშქშ

Philip Roth  
THE BREAST

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ქილაძემ

© Philip Roth, 1972  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-698-8

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ჩემი ამბავი უცნაურად დაიწყო. თუმცა, თუკი საერთოდ უნდა დანყებულებო, სხვანაირად ვერც იქნებოდა. მგონი, ნათქვამიცაა – ამქვეყნად რაც იწყება, უცნაურად იწყება, უცნაურადვე მთავრდება და საერთოდ, თავისთავად უცნაური. „უცნაურია“ სრულყოფილი ვარდი, ისევე, როგორც არც მთლად სრულყოფილი და კიდეც, სრულიად ჩვეულებრივი, ამ ჯიშის ერთი შეუხედავი ყვავილიც თუნდაც შენივე კარის მეზობლის ბაღში. ისიც გამიგონია, მთავარია, თვითონ რა თვალთ შეხედავ, თორემ შეიძლება ყოველივე არსებულში მარტო საოცრება და იღუმალება დაინახო. ისე, მარადისობაზე თუ დაფიქრდები კაცი, თუ არ დაიზარებ და დავინყების რაობასაც აწონ-დაწონი, მაშინ შენთვის ყველაფერი სასწაულად გადაიქცევა. და მაინც, დიდი მორიდებით ვეცდები დაგარწმუნოთ, ზოგიერთი რამ სხვა დანარჩენზე მეტად გამაოგნებელია-მეთქი და ამის თვალნათელი მაგალითი პირადად მე გახლავართ.

მართლა უცნაურად დაიწყო – ხანგამოშვებით მსუბუქი ჩხვლეტით საზარდულის მიდამოში. იმ პირველი

კვირის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე შევრბოდი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის მამაკაცთა ფეხსადგილში, ზუსტად ჩემი სამუშაო ოთახის გვერდით, შარვალს ქვევით ვინევდი, უდიდესი გულისყურით ვითვალთვლებდი სხეულს, მაგრამ მთელი ჩემი მონადინების მიუხედავად, უჩვეულოს მაინც ვერაფერს ვამჩნევდი. ბოლოს თავს შევუძახე, საერთოდ აღარ მიაქციო-მეთქი ყურადღება მაგ ჩხვლეტას, არადა მთელი ცხოვრება სულ დაფეთებული ვიყავი ჯანმრთელობის გამო: ყოველთვის უკიდურესად მძაფრად აღვიქვამდი სიცხის აწევასაც და კუჭისა თუ შარდის ბუშტის ქირვეულობებსაც, ოღონდ რაკილა საღად აზროვნების უნარიც არასოდეს მღალატობდა, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მივხვდი – შეუძლებელია ავადობის ყოველი ცალკეული, იდუმალი თუ ავბედი-თი ნიშანი ერთნაირად საყურადღებო იყოს-მეთქი. უეცარი სიკვდილის, დამბლის, რაღაც სრულიად ახალი სენისა თუ ჩვეულებრივი ცხელების თანამდევი გაუსაძლისი ტკივილის პირქუშად ჯიუტი წინათგრძნობის მიუხედავად, ოცდათვრამეტი წლის ასაკში მაინც ერთობ ჯანმრთელი, მოვლილ-ნაპატიები, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის მამაკაცი ვიყავი; არ ვუჩიოდი არც მადას, არც უძილობას, არც უძლურებას, არც თმის ცვენას, არც კბილების ნაკლებობას და საერთოდ, არც რამე შემაშფოთებელი ჩანაწერი არსებობდა ჩემს სამედიცინო ისტორიაში. მოკლედ, საზარდულის მიდამოში გაჩენილი ის ჩხვლეტა ჩემებური ფეთიანობით რაღაც მეტ-ნაკლებად საგანგაშო ნევრო-

ლოგიურ დაავადებად კი მოვინათლე უცებვე, მაგრამ იმასაც მშვენივრად ვაცნობიერებდი, უეჭველად ამჯერადაც ტყუილად ვიხეთქავ-მეთქი გულს.

არადა, თურმე ვცდებოდი. თურმე სულაც არ ვღელავდი უსაფუძვლოდ. ერთი კვირის შემდეგ უცებ შევამჩნიე, ბოქვენზე, თმის ქვეშ, ოდნავ როგორ გამივარდისფერდა კანი, თუმცა იმდენად მკრთალად, ბოლოს გადავწყვიტე საერთოდ აღარც დამეხედა ზედ – ტყუილად და უმიზეზოდ რატომ ვიღიზიანებ-მეთქი თავს. კიდევ ერთი კვირა გავიდა (ჩემი ანგარიშით, ოცდაერთდღიანი საინკუბაციო ვადაც უნდა ამონჭურულიყო ამასობაში) და როცა იმდღევანდელი ლექციებით, თათბირით, ბოლოს კი საღამოს წვეულებით გადაღლილი წყლის გადასავლებად სააბაზანოში შევედი, ჩემდა უნებურად თვალი მაინც გამექცა და დავინახე, ახლა უკვე ღია წითლად როგორ შეფერილიყო კანი ზუსტად ჩემი ასოს ძირში. პირველი რაც ვიფიქრე, საცვალს გადასვლია საღებავი-მეთქი (თვითდამშვიდების ამ გიჟური მცდელობისას ვინღა აქცევდა ყურადღებას იქვე, ფეხებთან დაგდებულ ღია ცისფერ ტრუსს!). ისე, ერთი შეხედვით, რაღაც ლაქასაც ჰგავდა, თითქოს რომელიღაც კენკროვანი მცენარის ნაყოფი ზედ ბოქვენზე მიმჭყლეტოდა, წვენი გასვლოდა და ამ წითელ ლაქად შემრჩენოდა ზედ.

ასოც და ბოქვენიც სამ-სამჯერ, დიდი მონდომებით დავიბანე შხაპში მდგარმა; მერე წელს ქვემოთ კიდევ გავი-საპნე ტანი, მთელი წუთი ვიზელდი ქაფს გამალებული და

ბოლოს ცხელი, ამჯერად ლამის მართლა მდულარე წყლით ჩამოვიბანე. მაგრამ ის ლაქა არსად გამქრალა. თან, არც ნაკანრს ჰგავდა, არც იარას, არც დაჟეჟილობას, არც მუწუკს – ახლა აშკარად რაღაც მკვეთრ პიგმენტურ ცვლილებას დავცქეროდი საკუთარი თვალით, რაც, ცხადია, იმნამსვე კიბოს დაფუკავშირე.

ზუსტად შუალამე იყო, სწორედ ის დრო, როდესაც საშინელ ამბებში, როგორც წესი, ყველაზე საბედისწერო გარდასახვები ხდება ხოლმე და როცა ნიუ-იორკში ექიმთან დაკავშირება თითქმის სრულიად უიმედო საქმეა. ამის მიუხედავად, მაინც დაუყოვნებლივ ავკრიფე ჩემი პირადი ექიმის, ბატონი გორდონის ტელეფონის ნომერი და მართლა ძალიან გულით ვეცადე, ხმაზე შეშფოთება არ შემტყობოდა. არადა, ის მაინც უცებვე მიხვდა ყველაფერს და თვითონვე შემომთავაზა, ახლავე ჩავიცვამ და ქალაქის მეორე ბოლოდან საჩქაროდ შენ გასასინჯად გამოვეშურებო. ვინ იცის, იმ ღამით კლერი ჩემ გვერდით რომ ყოფილიყო და არა თავის ბინაში, სადაც რაღაც მოხსენებასა თუ ანგარიშს წერდა, ალბათ არც კი ვეცდებოდი, შიში მომეთოკა და პირდაპირ ვეტყოდი ექიმს – აჯობებს, თავპირისმტვრევით თუ გამოვარდები-მეთქი. ცხადია, მხოლოდ ხსენებული სიმპტომების საფუძველზე ექიმი გორდონი იმ ღამით დაუყოვნებლივ არ გადამიყვანდა საავადმყოფოში, ხოლო იმისდა მიხედვით, რაც უკვე ვიცით – ანდა უწინდებურად არ ვიცით – საავადმყოფოშიც ვერ იზამდნენ ვერაფერს ისეთს, რაც მოსახდენს თავიდან თუ ვერ ამარიდებდა, ერ-



თხანს გადაავადებდა მაინც. სიმარტოვეში გატარებული მომდევნო ოთხი საათის ტანჯვა-წამებას საავადმყოფოში გაკეთებული მორფი ალბათ მეტ-ნაკლებად კი გაანელებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმაზე მიანიშნებდა რამე, ევთანაზიის გარდა, სხვა რამ სამედიცინო ჩარევა როგორღაც თუ გადამარჩინდა კარს მომდგარ უბედურებას.

კლერი გვერდით რომ მყოლოდა, სავარაუდოდ, იოლად დავეყრიდი ფარ-ხმალს; მაგრამ მარტოდმარტო დარჩენილს უცებ ძალიან შემრცხვა ასეთნაირი დადამბლავების გამო: ჯერ ხუთი წუთიც არ გასულიყო იმ ლაქის შემჩნევიდან და უკვე ტყავის ტახტზე ვეგდე გადასვენებული, სველი და შიშველი... თან საკუთარი ხმისთვისაც ვერაფერი მომეხერხებინა, როცა ტელეფონის ყურმილჩაბღუჯული ბოქვენს დავცქეროდი და დანახულს ზედმინევნით დანვრილებით აღვუნერდი ექიმ გორდონს. თავს უნდა მოერიო – გავიფიქრე ბოლოს და მართლა მოვერიე კიდეც, როგორც სხვა დროსაც მუდამ ვახერხებდი, როცა საამისოდ გამიხდებოდა ხოლმე საქმე. დანახული თუნდაც მართლა ის რომ ყოფილიყო, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა, დილამდე შინ დარჩენით უარესი მაინც აღარაფერი მოხდებოდა; თუ არა და, მაშინ მით უმეტეს არაფერი ჩანდა საჩქარო. ამიტომაც, უკვე დავწყნარდი-მეთქი, ვუთხარი ექიმს; დღეს ბევრი საქმე მქონდა, გადავიღალე, ეტყობა, შიშიც ამიტომ მომერია, ხვალ შუადღისას კი (აი, ვაჟკაცობა და ნებისყოფა ამას ქვია, უნებურად გამიელვა თავში) მე თვითონვე გეახლებით-მეთქი. არა, დილის ცხრაზე გელოდე-

ბითო – ექიმმა გორდონმა. მეც, რაც შემეძლო, არხეინად დავეთანხმე და მშვიდობიანი ღამე ვუსურვე.

მერე კი, როცა ყურმილი დავდე და ნათურის კაშკაშა შუქზე ერთხელაც დავითვალისწინე სხეული, მხოლოდ მაშინღა გამახსენდა, საზარდულში ჩხვლეტისა და შეფერილი ასოს გარდა, არსებული მესამე სიმპტომიც, რის ექიმისთვის თქმა სულ ამომივარდა თავიდან. ეგ ალბათ იმიტომ, რომ მანამდე ამ სიმპტომს უფრო ჯანმრთელობის გამოვლინებად მივიჩნევდი, ვიდრე სისუსტისა თუ ავადმყოფობის. ვგულისხმობ ასოს გამძაფრებულ მგრძობიარობას, რასაც ბოლო სამი კვირის განმავლობაში მუდმივად ვამჩნევდი კლერთან სექსის დროს. ისიც მეგონა, მიზეზი ალბათ ერთხანს შეწყვეტილი ჩვენი სქესობრივი ურთიერთობის ახლებური ყინით განახლება უნდა იყოს-მეთქი, ოღონდ, სიმართლე ითქვას, ამაში გასარკვევად მაინცდამაინც ბევრიც არ მიჭყლეთია ტვინი, იმდენად მომწონდა და თან მამშვიდებდა კიდევ ადრინდელი სიამოვნების სულ სხვა სიმძაფრით განცდა. არ დავმალავ, ძლიერი ფიზიკური ლტოლვა, რასაც კლერის ქალური მიმზიდველობა მიჩენდა ჩვენი თანაცხოვრების პირველი ორი წლის განმავლობაში, მოგვიანებით ნელ-ნელა თითქმის მთელი წლით ჩაცხრა და ბოლო დროს თვეში სულ ორჯერ ან სამჯერ თუ ვწვებოდით ერთად, ისიც თითქმის მუდამ მისი სურვილით.

ჩემი ამგვარი გაგრილება – გაცივებაც შეიძლება ითქვას – ორივეს ერთნაირად გვთრგუნავდა, თუმცა რამდენადაც არც ერთს არ გვაკლდა წარსულში მძიმე ემოციური

გამოცდილება (კლერს მშობლებთან გატარებული რთული ბავშვობის, მე კი უიღბლო ქორწინების სახით), კავშირის განწყვეტისგან მაინც ჯიუტად ვიკავებდით თავს. რა თქმა უნდა, ლამაზი, მომხიბვლელი ოცდახუთი წლის ქალისთვის დამამცირებელი იქნებოდა თითქმის ყოველ ღამე უმამაკაცოდ დაძინება, მაგრამ კლერს გარეგნულად არასოდეს გამოუვლენია არც ეჭვი, არც იმედგაცრუება და არც სიბრაზე, რაც თავისთავად ძალიან სამართლიანი იქნებოდა მისი უსიხარულო ყოფის მთავარი მიზეზის, ანუ თქვენი მონა-მორჩილის გადასახედიდანაც კი. დიახ, დღემდეც ყოველთვის ის იხდიდა ამგვარი მშვიდობიანი თანაარსებობის საფასურს (ჩვენში დარჩეს, არც მთლად ყველაზე ცეცხლოვანი ქალი იყო, ვისაც კი შევხვედრივარ, მთელი თავისი მიმზიდველობის მიუხედავად), მაგრამ რა ვქნა, თუკი ერთ მშვენიერ დღეს მეც მივადექი ცხოვრებაში იმ მიჯნას – ცხადია, ამას წარსულ დროში მოგახსენებთ – როცა მყუდრო სავანე და დამშვიდებული ზღვა უფრო გექვირფასება, ვიდრე ყალყზე შემდგარი, ქაფმოდებული, ბობოქარი ტალღები. რასაკვირველია, არსებობდა ისეთი დროცა და ვითარებაც – ხან ხალხმრავალ წვეულებებზე, ხან შინ, ვთქვათ, უცხოთა გარეშე სადილობისას – როცა ალბათ ძალიანაც მინდოდა, კლერს მეტი გზნება, ჩემი იღუმალი სურვილების უკეთ ამოცნობის უნარი გამოევლინა, მაგრამ თან მისი მშვიდი კეთილგონიერებაც იმდენად მაკმაყოფილებდა, სანოლში გიჟმაჟობის ნაკლებობას აღარც დაგიდევდით. ცოლქმრობისას იმდენი სიგიჟმაჟე გამოვიარე

ყველა თვალსაზრისით, მეტი აღარაფერში მჭირდება, მადლობელი ვარ.

სამწლიანი ურთიერთობის მანძილზე მე და კლერმა, რა თქმა უნდა, თანაცხოვრების ისეთი პირობებიც შევთანხმეთ – ეს, სხვათა შორის, ზოგჯერ ცალ-ცალკე, სხვადასხვა ჭერქვეშ ყოფნასაც გულისხმობდა – რაც ერთმანეთის მიმართ მზრუნველობასა თუ სითბოს გამოვლენას იმ შემთხვევაშიც მოგვახერხებინებდა, თუ ზედმეტად არ გავუნყალებდით ერთმანეთს გულს, ზედმეტად არ გავუბურღავდით ტვინს, თავს არ მოვაბეზრებდით, ანდა მუდმივად არ ვიქნებოდით ჩართული ღალატისა თუ თვალთმაქცობის იმ უაზრო თამაშში, რამაც თითქმის ყველა ჩვენი ნაცნობი წყვილის ოჯახი დაანგრია. შარმან, ზუსტად ამ დროს, ფსიქონალიზის ხუთწლიანი კურსი დავასრულე იმაში ღრმად დარწმუნებულმა, საშინელებათა ფილმად ქცეული ქორწინებისას მიღებული ჭრილობები, საბედნიეროდ, ნელ-ნელა მომიშუშდა და დიდწილად, სწორედ ჩემს ცხოვრებაში კლერის გამოჩენის წყალობით-მეთქი. შეიძლება, მთლად ის კაცი ვეღარ ვიყავი, რაც ადრე, მაგრამ უკვე აღარც იმ ვილაც ნატანჯ, დაჭრილ-დაჩეხილ, სახვევებდადებულ ყმანვილ ჯარისკაცს ვგავდი, საკუთარი თავისადმი სიბრალულით შეპყრობილი, თვალცრემლიანი, კოჭლობ-კოჭლობით რომ შედიოდა ფსიქონალიტიკოსის სამუშაო ოთახში ოჯახურ კერად მონათლული ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ, კუდამოძუებული გამოქცეული. ცხოვრება დალაგდა და მოწესრიგდა – თამამად ვიტყვი, ბოლო